„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი • №-21-22 (9539-9540) • 1-30 ნოემბერი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

საკრებულოს სხდომა

25 ოქტომბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განცხადების საფუძველზე, გაგრძელდა 2021 წლის 3 დეკემბრის საკრებულოს სხდომა.

სხდომას, რომელსაც 17 წევრი ესწრებოდა, საკრებულოს დამსწრე უხუცესი წევრი ბადრი შარტავა უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით პირველ საკითხად გათვალისწინებული იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებმა დაასახელეს ფრაქციის წევრის, საბა ოდიშარიას კანდიდატურა.

საბა ოდიშარიას კანდიდატურას ხმა მისცა 17-მა საკრებულოს წევრმა, ბათილად იქნა ცნობილი 0 ბიულეტენი.

,,არსებული ბიულეტენების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის შედეგით, 17-მა საკრებულოს წევრმა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ხმა მისცა საბა ოდიშარიას კანდიდატურას, გამომდინარე აქედან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულია საბა ოდიშარია" – განაცხადა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ინგა ქარდავამ.

ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ, კოლეგებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის და გამოცხადებული ნდობისთვის.

,,დიდი პატივია ვიყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ვატარო ეს მანდატი და ვიმუშაო სენაკის კეთილდღეობისთვის. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ჩვენ, ყველანი ერთობლივად შევძლებთ განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისა და თანამოქალაქეებისთვის სასიკეთო საქმიანობა“ - განაცხადა ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ.

საკრებულოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეულ იქნენ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ზაზა ნაჭყებია და ელისო ცაგურია. საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებად აირჩიეს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბადრი კალანდარიშვილი, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია, ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბადრი ხურცია და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა.

საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვრა და დამტკიცდა, ასევე დამტკიცდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობა.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხი ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან, მომდევნო საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

სხდომა, რეგისტრაციის გავლამდე, დატოვეს ფრაქციის, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ,,სენაკი-საქართველოსთვის“ წევრებმა

ქრონიკა

საბა ოდიშარია

2022 წლის 25 ოქტომბერს არჩეულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

იგი დაიბადა 1992 წლის 9 თებერვალს სენაკში. დაამთავრა ჯერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის, შემდეგ კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი – საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

სპეციალობით პოლიტოლოგია.

მუშაობდა: 2015-2019 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მონიტორინგის განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად. 2019-2021 წლებში ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მონიტორინგის სამმართველოში განყოფილების უფროსად. 2021 წლის 3 დეკემბრიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

ლევან უჩანეიშვილი

2022 წლის 25 ოქტომბერს არჩეულ იქნა სენაკის მუნიციპალიეტეტის საკრებულოს პირველ მოადგილედ.

იგი დაიბადა 1991 წლის 17 ოქტომბერს სენაკში. დაამთავრა წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. სპეციალობა – ფინანსები.

მუშაობდა: 2014 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ჯერ სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ სპეციალისტად, შემდეგ 2014-2016 წლებში, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 2016-2017 წლებში ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორად. 2017-2021 წლებში ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორად. 2021 წლის 3 დეკემბრიდან, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

ჰყავს მეუღლე.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე

საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი ,,თანადგომის“ წარმომადგენლები, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამის მენეჯერი, ექიმი ქეთევან ჭელიძე და ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, ექიმი ნანა ჯიბლაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ინგა ქარდავას და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს ნატალია ხუბუას შეხვდნენ.

შეხვედრაზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მომავალში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება დაიგეგმა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში





მუნიციპალიტეტის მერიაში

მასშტაბური პროექტი

სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორნისკენ მისასვლელი, სამ კილომეტრამდე გზის მონაკვეთზე, ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგო.

წლების მანძილზე, გზის სავალ ნაწილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომელიც შესრულდა.

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქვალონი-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, გიორგი გუგუჩია, რწმუნებულის მოადგილე, დავით კუხალეიშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველი, დავით გვიშიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ.

მასშტაბური პროექტის ღირებულებამ 1 075 741 ლარი შეადგინა.

საინფორმაციო შეხვედრა

სენაკის რაიონულმა პროკურორმა, ბესიკ ქვარცხავამ, პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, ფემიციდის წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის - ,,არა - ფემიციდს!" ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულის პრევენცია.

საქართველოს პროკურატურა, ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიას, აშშ-ის საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ახორციელებს.

სახვითი ხელოვნების გალერეის საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი, საჯარო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სანიაღვრე სისტემის ამოწმენდის სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქად და სოფლად, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად, აქტიურად მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის ამოწმენდის სამუშაოები, ღირებულებით 580 141 ლარი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე პროექტს - მდინარე სკურეს კალაპოტის ამოწმენდის სამუშაოებს გაეცნო.

სამუშაოების ღირებულება 83 861 ლარს შეადგენს.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად, ამ ეტაპზე, სანიაღვრე სისტემის ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ ლოკაციებზე: ღელე ფიცუ 1-ის ამოწმენდა თეფანიას ქუჩიდან რკინიგზამდე - თავისი შენაკადებით; ღელე ფიცუ 2-ის ამოწმენდა ჩხეტიას ქუჩიდან რკინიგზამდე - თავისი შენაკადებით; ღელე ფიცუს ამოწმენდა; დავით დემურიას ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე, სანიაღვრე არხის ამოწმენდა - თავისი შენაკადებით; ჯიხას ქუჩიდან მდინარე ტეხურამდე, სანიაღვრე არხების ამოწმენდა - თავისი შენაკადებით; ასათიანის ქუჩიდან ტეხურამდე, კოლხეთის ქუჩის გასწვრივ გამდინარე სანიაღვრე არხის ამოწმენდა - თავისი შენაკადებით; მეშვიდე საჯარო სკოლიდან ტეხურამდე, ტაბიძის ქუჩის გავლით, სანიაღვრე არხის ამოწმენდა - თავისი შენაკადებით; ღელე ხაბაზეთისა და ცენტრალური კოლექტორის ამოწმენდა - თავისი შენაკადებით; სამხედრო ქალაქიდან თეკლათის მიმართულებით ღელეს ამოწმენდა; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ნახურის კალაპოტის ამოწმენდა; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების ამოწმენდა.

პრემიერა

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, შედგა პრემიერა უპრეცედენტო პროექტისა - ,,განდეგილი", რომელიც ილია ჭავჭავაძის 185 წლის იუბილეს მიეძღვნა.

სპექტაკლი წარმოადგინა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა და გორის ქალთა კამერულმა გუნდმა, თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

მაღალმხატვრული ორიგინალობით გამორჩეულ სპექტაკლში, ილიას უკვდავი სტრიქონებისა და ქალთა კამერული გუნდის შესრულებით - მუსიკის ჰარმონიული სინთეზით, დრამატული სიმძაფრით გაცოცხლდა განდეგილისა და დაცარიელებული ბეთლემის ტრაგედია...

სპქტაკლის რეჟისორია - გოგი თავაძე; კომპოზიტორი - გოგი ჩლაიძე; პროექტის ავტორი - რამაზ იოსელიანი; ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, შედგა პრემიერა უპრეცედენტო პროექტისა - ,,განდეგილი", რომელიც ილია ჭავჭავაძის 185 წლის იუბილეს მიეძღვნა.

სპექტაკლი წარმოადგინა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა და გორის ქალთა კამერულმა გუნდმა, თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

მაღალმხატვრული ორიგინალობით გამორჩეულ სპექტაკლში, ილიას უკვდავი სტრიქონებისა და ქალთა კამერული გუნდის შესრულებით - მუსიკის ჰარმონიული სინთეზით, დრამატული სიმძაფრით გაცოცხლდა განდეგილისა და დაცარიელებული ბეთლემის ტრაგედია...

სპქტაკლის რეჟისორია - გოგი თავაძე; კომპოზიტორი - გოგი ჩლაიძე; პროექტის ავტორი - რამაზ იოსელიანი; ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე.

მონაწილეობდნენ: რამაზ იოსელიანი, მარინა კახიანი, ბექა ჯუმუტია, გორის ქალთა კამერული გუნდი - თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

სპექტაკლს ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურის სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

მეთხილე ფერმერთა მხარდამჭერი პროგრამა

საქართველოს მთავრობა მეთხილე ფერმერების მხარდამჭერ ახალ პროგრამას იწყებს.

დეტალურად, თხილის ახალი პროგრამის შესახებ, სოფლის განვითარების საგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ლაშა შალამბერიძემ, ხობში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე ისაუბრა.

შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის შესაბამისი სამსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად, ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც 0,2 -3 ჰექტრამდე თხილის ფართობი აქვს საკუთრებაში ან სარგებლობაში, მიიღებს, 1 ჰექტარზე დაანგარიშებით, 500 ლარის ოდენობით დახმარებას.

სამი ჰექტარი ან მეტი თხილის ფართობის მქონე ფერმერები მიიღებენ შეღავათებს და შეძლებენ ისარგებლონ შეღავათიანი აგროკრედიტით - საბრუნავი საშუალებებისთვის. სახელმწიფო სესხის 8%-ს დააფინანსებს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ამ დროისთვის, 53 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტს - სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

პროექტის ღირებულება 89 968 ლარს შეადგენს.

ნაპირსამაგრი გაბიონების, სკვერების, მოსაცდელების, გარეგანათების, გზების მოხრეშვა-მოშანკადების, მინი საფეხბურთო მოედნების, ხიდებისა და საბავშვო ბაღებში ატრაქციონების მოწყობა – ეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლის განხორციელებისთვის სენაკის მუნიციპალიტეტში 773 508 ლარი დაიხარჯება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და მათ მიერ შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა.

სკოლამდელი აღზრდის სექტორში

სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღებში „შემოდგომის ზეიმის" კვირეული მიმდინარეობს.

აქტივობებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი, ალექსანდრე ჯანჯღავა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სკოლამდელი სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, შემოდგომის ნობათით მორთულ ეზოში სანახაობრივად შთამბეჭდავი და სახალისო გარემო შექმნეს.

ტრადიციული კვირეული მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში გაიმართა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

აგროტური-კახეთში

22 და 23 ოქტომბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით, პროექტ „აგროტურის“ ფარგლებში, მეოთხე აგროტური კახეთის რეგიონში მოეწყო.

პროექტის - „დამწყები მეფუტკრეს“ ბენეფიციარებმა, სენაკელმა მეწარმეებმა და ფერმერებმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე ფესტივალში - ,,ღვინის დღეები საქართველოში“ მიიღეს მონაწილეობა.

აგროტურის მონაწილეებმა, გურჯანიის ცენტრალურ პარკში მიმდინარე ფესტივალზე, სხვადასხვა რეგიონის მეწარმეებისგან მიიღეს საინტერესო ინფორმაციები როგორც ფუტკრის პროდუქციის მიღების, ასევე მრავალფეროვანი ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებზე, 8000 წლიან უწყვეტ ტრადიციაზე. დაათვალიერეს ღვინის მარნები.

აგროტურის მეორე დღეს, პროექტის მონაწილეები, ტიბაანის მეცხოველეობის საცდელ ცენტრსა და ფერმა „ბუსტანაში“ იმყოფებოდნენ, სადაც მენეჯერმა, ჯემალ ხატიაშვილმა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვების, საკვები ულუფების შედგენის, ჯიშთგანახლების საკითხები გააცნო და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. „ბუსტანა“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საქართველოში მაღალტექნოლოგიურ ფერმას წარმოადგენს, სადაც შვიცის, სიმენტალის, ჰოლშტეინფრიზული ჯიშების მსხვილფეხა საქონლის გამრავლება ხდება. ფერმა სრულიად ავტომატიზებულია. საკვების დარიგება ხორციელდება რობოტის მეშვეობით, რაც ერთადერთია საქართველოში.

აგროტურში მონაწილეობა 14-მა ადგილობრივმა ფერმერმა მიიღო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი - ,,დამწყები მეფუტკრე“. 7 სენაკელ ბენეფიციარს ფუტკრის ოჯახები და სათანადო ინვენტარი გადაეცა. პროექტის - „აგროტური ადგილობრივი ფერმერების, მეწარმეებისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებისთვის აგრარულ სექტორში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით“, ფარგლებში, სამი აგროტური მოეწყო: ფერმერი და მეწარმე ქალბატონები საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ნინო ზამბახიძეს შეხვდნენ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის სენაკში ვიზიტის ფარგლებში, თვითნასწავლი მეწარმე ქალებისა და დებიუტანტი ნორჩი მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, რომელმაც ასევე უმასპინძლა ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია ,,კრისტალისა” და დასავლეთ საქართველოში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს. მეორე აგროტურის ფარგლებში, 18 სენაკელი ფერმერი, აჭარის აგროსერვის ცენტრის ჩაქვის მეციტრუსეობის სანერგე მეურნეობის საქმიანობას, დანერგილ ტექნოლოგიებსა და დაგეგმილ ინოვაციებს გაეცნო.

ადგილობრივმა ფერმერებმა და მეწარმეებმა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, მონაწილეობა მიიღეს თბილისობის სახალხო დღესასწაულზე.

სარეაბილიტაციო სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, აქტიურად მიმდინარეობს ნოსირის საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, 300 მოსწავლეს საშუალება ექნება სრულფასოვანი ზოგადი განათლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში მიიღოს.

პროექტის ფარგლებში გარემონტდება საკლასო ოთახები, დერეფნები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი, კეთილმოეწყობა სკოლის ეზო, დამონტაჟდება გათბობის, წყალსადენის და კანალიზაციის სისტემები, სრულად გამოიცვლება სახურავი, კარ-ფანჯრები, სკოლა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

პროექტი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება.

ამფითეატრის მოწყობის სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და მერის წარმომადგენელთან ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, რიმა ბოჯგუასთან ერთად, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე პროექტს - ამფითეატრის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

პროექტის ღირებულება 48 223 ლარს შეადგენს.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, ქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ასევე ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება ტროტუარების მოწყობის პროექტი, ღირებულებით - 48 164 ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის თვითმმართველობაში ჩართულობის ასამაღლებლად. პროგრამა, მოქალაქეებს, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში უშუალო მონაწილეობის, მათთვის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული საკითხების და საჭიროებების წარმოჩენისა და განხორციელების რეალურ შესაძლებლობას აძლევს.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სენაკში, ჯიხას ქუჩაზე, საგზაო ინფრასტურუქტურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პარალელურად, აღნიშნულ ლოკაციაზე, ქუჩის ორივე მხარეს, ეწყობა ბორდიურები, ჯებირები, წესრიგდება სანიაღვრე სისტემა.

ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

რეგისტრაცია დაწყებულია

სენაკის მუნიციპალიტეტში მეთხილე ფერმერების თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრაცია აქტიურად მიმდინარეობს.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან ერთად გაეცნო.

პროგრამის შესახებ ინფორმაციას ადგილზე აწვდიან სოფლის განვითარების სააგენტოს, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სუბსიდიის მისაღებად, საქართველოს მოქალაქე, ფიზიკურ პირს საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი ჯამურად არანაკლებ 0.2 ჰა არაუმეტეს 3 ჰა.

სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით.

პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებზე სუბსიდიის გაცემა მოხდება ლიბერთი ბანკის აგრობარათზე შესაბამისი ქულების დარიცხვით.

ქულების დარიცხვა დაიწყება 2023 წლის გაზაფხულზე. სპეციალიზებულ აგრომაღაზიებში დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2023 წლის 31 აგვისტო.

მეთხილე ფერმერებმა, ფინანსური დახმარების მისაღებად, 2022 წლის 7 ნოემბრიდან 2023 წლის 31 იანვრამდე უნდა მოახდინონ თხილის ბაღების რეგისტრაცია თხილის კადასტრში.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

საბოხუოს უბანში მიმდინარე სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საბოხუოს უბანში მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

აღნიშნულ ლოკაციაზე მიმდინარეობს გზის სამშენებლო სამუშაოები, 2 კმ-მდე მონაკვეთზე ასფალტის საფარი იგება.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 653 706 ლარს შეადგენს.

(დასასრული მეოთხე გვერდზე)

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)</u>

შეხვედრა მერიების წარმომადგენლებთან

სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს ტრენინგებისა და განვითარების ინსტიტუტის (TDIG), საერთაშორისო ორგანიზაცია - World Vision საქართველოს წარმომადგენლობის, ახალგაზრდული საბჭოების ასოციაციისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა სამეგრელოს რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან - ახალგაზრდული მიმართულებით.

პრეზენტატორებმა - საქართველოს ტრენინგებისა და განვითარების ინსტიტუტის (TDIG) დირექტორმა, დიმა ქარჩავამ, საერთაშორისო ორგანიზაცია - World Vision-is საქართველოს ახალგაზრდული პროგრამის კოორდინატორმა, ირაკლი გიორბელიძემ და ახალგაზრდული საბჭოების ასოციაციის თავმჯდომარემ, მარიამ თოდუამ ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობაზე, არსებულ გამოწვევებზე, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა ცოდნისა და უნარების ათვისებისთვის აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სამომავლო ხედვებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა ახალგაზრდული მიმართულებით, გააკეთეს პრეზენტაციები მათი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ; დაისახა კონკრეტული სამოქმედო სტრატეგია - ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

სამუშაო შეხვედრას ონლაინ ჩაერთვნენ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდული კომიტეტის აპარატის წარმომადგენელი, ანატოლი კორეპანოვი და ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენელი, მარიკა მეიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სამსახურის სპეციალისტები - ნანა საჯაია, ლატავრა თოდუა და გვანცა მალანია, სამეგრელოს რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები - ახალგაზრდული მიმართულებით.

ანგარიშის პრეზენტაცია

სასტუმრო ,,ვერსალის“ საკონფერენციო დარბაზში, პროექტის - ,,ადგილობრივი თემების ინფორმირებულობა და ჩართვა საძოვრების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესებში“, ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - გარემოსდაცვითი გლობალური ფონდის მცირე გრანტების კონკურსის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას“ მიერ, სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე და მოიცავს: გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ბიომრავალფეროვნების საკითხებზე; საძოვრების მდგრად მართვას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით, რაც საძოვრების შეფასების გაუმჯობესებით და ელექტრომწყემსის დახმარებით, ნაკვეთმორიგეობითი ძოვების დანერგვით მიიღწევა.

პროექტის მიმდინარეობის, გატარებული ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ პრეზენტაცია გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას“ ხელმძღვანელმა, პროექტის მენეჯერმა, თამარ მალანიამ წარადგინა.

კოლხეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ პრეზენტაცია - კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსმა, ხათუნა ქაცარავამ; UNESCO-ს საიტის ,,კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები“ შესახებ პრეზენტაცია კი - კოლხეთის ეროვნული პარკის მოხალისემ, ალექსანდრა მატკავამ, გააკეთეს.

კლიმატის ცვლილებების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, ამ მიმართულებით, სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ ისაუბრა.

პროექტის პარტნიორებს - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, კოლხეთის ეროვნულ პარკს, მერის წარმომადგენელს ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მადლობის სიგელები გადაეცათ.

შემაჯამებელ ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩენეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კოლხეთის ეროვნული პარკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქალაქური საღამო

20 ნოემბერს, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის - ,,ქართული მუსიკა რეგიონებს“ ფარგლებში, ქართული სიმღერის საღამო გაიმართა.

დასკვნითი საღამო, ცნობილი ქართველი შემსრულებლების: ნეკა სებისკვერაძის, დავით ნოზაძის, აჩიკო ნიჟარაძის, ნათია პერანიძის, პიანისტების - ნინო გულიაშვილის და მარიკა ოსიტაშვილის მონაწილეობით, გიორგობის კვირეულს მიეძღვნა.

გამორჩეული და ემოციებით დატვირთული საღამო ნიკოლოზ წულუკიძეს მიყავდა.

ქართული სიმღერის საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

სააგენტოს წარმომადგენლები და მათი ფუნქციები

სურსათის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ „საქართველოს კანონის საფუძველზე“

2006 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო, რომელშიც შედის სამი დეპარტამენტი. 1. სურსათის უვნებლობის 2. ვეტერინარიის. 3. ფიტო სანიტარიის.

საინტერესოა სამსახურის ფუნქცია რა არის, რა მიმართულებებია პრიორიტეტული, ვინ არიან სამსახურის წარმომადგენლები და ასე შემდეგ. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრებიან სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაკები: ირინე ფოჩხუა, თამარ თოლორდავა და ლევან სირია.

ირინე ფოჩხუა-სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

ქალბატონმა ირინემ 1983 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის II საშუალო სკოლა. 1988 წელს ჩაირიცხა და წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა სენაკის II საჯარო და კერძო სკოლა „მარიოტაში“ ბიოლოგიის მასწავლებლად. 2006 წლიდან დღემდე იგი სურსათის უვნებლობის რეგიონული სამმართველოში მუშაობს.

თავისი საქმიანობის პროცესში უწევს 1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში კულტურულ მცენარეთა საშიში დაავადებების, სარეველების აღმოჩენა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ მავნებლების, დაავადებების, სარეველების საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. საკარანტინო მავნებლების შემთხვევაში კი სააგენტოს მობილური ჯგუფის მიერ ქიმიური წამლობის ჩატარება ხელშეწყობა და შედეგების მონიტორინგი. აღნიშნული საქმიანობის შედეგად სხვადასხვა წლებში ამ სამსახურის ძალისხმევით მოხერხდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისეთი საშიში მავნებლების დამარცხება, როგორებიცაა ამერიკული თეთრი პეპელა და ბზის ალურა, ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლა აზიურ ფაროსანასა და სიმინდის მავნებლებთან. (ხვატარი, ფარვანა). აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საკარანტინო ორგანიზაციების ოპერატიულად გამოვლენის მიზნით, მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სენაკის მინიციპალიტეტის სხვადასხვა თემის ტერტორიაზე აღნიშნული სამსახური ახდენდა სპეციალური საჭერების განთავსებას. მოპოვებული მასალა მოწმდება ლაბორატორიულად.

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების ინსპექტირება ქიმიკატების შენახვის, შეფუთვის და ეტიკეტების წესების დაცვის შემოწმება. დარღვევების აღმოჩენისას სამსახური ახდენს ვადაგასული პრეპარატების ამოღებას. ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას, ზოგ შემთხვევაში მისთვის საქმიანობის შეჩერებასაც კი. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ხდება ლაბორატორიული შემოწმებისთვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პესტიციდების ნიმუშების აღება.

3. მთელი წლის მანძილზე ბიზნეს–ოპერატორების მოთხოვნით, მცენარეული წარმოშობის საექსპორტო ტვირთების ფიტოსანიტარული დახედვა-შემოწმება, რის საფუძველზეც გაიცემა ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, რომელიც წარმოადგენს საზღვარგარეთ ტვირთის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ დოკუმენტს.

თამარ თოლორდავა – ექიმი ვეტრერინარი 30 წლიანი სამუშაო გამოცდილებით. იგი სენაკის მუნიციპალიტეტში შემავალ 14 თემში ახორციელებს ეპიზოოტიური მდგომარეობის კონტროლს. ვეტერინარიის კუთხით კანონის შესაბამისად ცხოველთა ვაქციანაციას, იდენტიფიკაცია რეგისტრაციას. ეკისრება პასუხისმგებლობა ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ინფექციურ დაავადებებზე, განსაკუთრებით ზოონოზურ დაავადებებზე.

ქალბატონი თამარი დაიბადა 1970 წლის 19 დეკემბერს. დაამთავრა სენაკის მე-3 საშუალო სკოლა. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო კვლევითი უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით. გარდა ამისა მეორად ფაკულტეტად დამთავრებული აქვს სამართალმცოდნეობის იურიდიული ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით. იგი სხვადასხვა წლებში მუშაობდა: სენაკის ლიცეუმში პედაგოგად, ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლ სადგურში. 1997-2005 წლებში ექიმ ვეტერინარად, 2006-2010 წლებში სოფლის მეურნეობის სამმართველოში უფროს ვეტერინარ ინსპექტორად. 2011 წელს სენაკის მერიაში სოფლის მეურნეობის განყოფილებაში სპეციალისტად. 2013 წლიდან დღემდე მუშაობს ზემოთაღნიშნულ სამსახურში.

ლევან სირია – მეწყვილესთან ერთად ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს, ინსპექტირებას საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, საკონდიტრო საცხობებში, რესტორნებში, საბავშვო ბაღებში, საჯარო სკოლებში და ასე შემდეგ. გარდა ამისა აწარმოებს გადამოწმებებს შენიშვნების გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, ასევე ცხოველური წარმოშობის სურსათის დოკუმეტურ შემოწმებებს, ახორციელებს თხილის საწარმოებში ნიმუშების აღებას.

ბატონი ლევანი დაიბადა 1984 წლის 29 ივლისს. სწავლობდა სენაკის მე-7 საჯარო სკოლაში, სრული კურსი დაამთავრა №1 სკოლა-გიმნაზიაში. ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 2006 წელს. სტუდენტობის პერიოდში იგი მუშაობდა ჩაის ფაბრიკებში. 2014 წელს დაინიშნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალში კატასტროფების რისკის შემცირების პროგრამის კოორდინატორად. 2015 წლიდან გადაყვანილ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროს სპეციალისტად. 2019 წელს მუშაობდა ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბში, ახორციელებდა ფაროსანასთან ბრძოლის მონიტორინგს. 2019 წლის დეკემბრიდან კი იკავებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორის თანამდებობას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

,,უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას ვიძენთ"

გაცვლითი პროგრამები ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საზღვარგარეთ განათლების მიღება კარიერულ წინსვლასთანაა დაკავშირებული, რასაც შესანიშნავი ცხოვრებისეული გამოცდილებაც ახლავს თან.

გაცვლითი პროგრამით წასული სტუდენტები და მოსწავლეები არა მხოლოდ განათლებას იღებენ, არამედ სწავლობენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, განსხვავებულ გარემოსთან ადაპტირებას, ეცნობიან სხვადასხვა ეროვნების ფასეულობას თუ კულტურას და გლობალურ გარემოში აგრძელებენ განვითარებას.

გაცვლითი პროგრამების სისტემა საქართველოშიც ხელმისაწვდომია. ერთერთია მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა – FLEX, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1992 წელს შეიქმნა. პროგრამა 14-16 წლის სკოლის მოსწავლეებისთვის არის გათვლილი და ახალგაზრდებს ქვეყნის გარეთ სწავლის გაგრძელების შანსს აძლევს.

შესარჩევი ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში, FLEX პროგრამის მოსწავლეები ამერიკის რომელიმე შტატში საცხოვრებლად ერთი წლით გაემგზავრებიან და იქაური მასპინძელი ოჯახის ახალი წევრები ხდებიან. მასპინძელ ოჯახში ერთი წლით ცხოვრება ბევრ საინტერესო და ოდნავ უჩვეულო თავგადასავალთანაა დაკავშირებული, რადგან FLEX პროგრამის მონაწილე დროებით ამერიკელ ინდივიდად ტრანსფორმირდება, სწავლობს იქაურ სკოლაში, იჩენს იქაურ მეგობრებს, მასპინძელ ოჯახთან ერთად აღნიშნავს სხვადასხვა ამერიკულ დღესასწაულებს და ა. შ

თავის მხირვ ახალგაზრდები მასპინძლებს ჩვენი ქვეყნის კულტურას აცნობენ. ამზადებენ პრეზენტაციებს საქართველოზე, ქართულ კულტურას ათობით ათასი კილომეტრის იქით ავრცელებენ. მასპინძელ ოჯახებს ტრადიციული კერძებით ანებივრებენ, უყვებიან მონაკვეთებს ქვეყნის ისტორიიდან, ერთად ხუმრობენ, საოჯახო საქმეებს ინაწილებენ და შედეგად FLEX-ის მონაწილე პროგრამის ერთ წელს უჩვეულოდ საინტერესოდ და მრავალფეროვნად ატარებენ.

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლემ, ნინი ღვინჯილიამ და ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლემ, გიორგი ჟვანიამ მომავალ ლიდერთა აღნიშნულ პროექტში გამარჯვებულის ტიტული და აშშ-ში ერთწლიანი სწავლების უფლება მოიპოვეს.

ჩვენ დავუკავშირდით ნინის, რომელიც მოგვიყვება თავის ამერიკულ ცხოვრებაზე და შთაბეჭდილებებზე

,,პროექტის შესახებ გავიგე, როდესაც VI კლასში ვიყავი. ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ სასწავლებლად ამერიკაში წავსულიყავი. XI კლასის დასაწყისში მივიღე Flex Future Leaders Exchange Program – აში მონაწილეობა.

პირველ რიგში შევავსე აპლიკაცია, გავაგზავნე, ცნობები საკუთარი თავის შესახებ. პირველი და მეორე ტური გადავლახე ესეების და გამოცდების საშუალებით. მესამე ტურში იყო გასაუბრება, გამოცდა ინგლისურში და მრავალი სხვადასხვა სახის აქტივობები. აპრილში დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ გავხდი ფინალისტი და შემეძლო სწავლა ამერიკაში 1 წლით და ვიცხოვრებდი მასპინძელ ოჯახთან. ამჟამად ვიმყოფები ქალაქ საკრამენტოში, შტატ კალიფორნიაში. ვსწავლობ McClatchy high school- ში.

ჩემი ამერიკული ცხოვრება თავგადასავლებით და მრავალი სახის აქტივობებით არის სავსე. სკოლა, რომელშიც მე ვსწავლობ, ძალიან დიდია და დაახლოებით 2500 ბავშვი სწავლობს. აქ კლასების ძალიან დიდი არჩევანია. მე მქონდა შესაძლებლობა თავად ამერჩია სასურველი კლასი. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო ამერიკის ისტორიისა და ინგლისურის მაღალი დონის AP კლასები, სადაც სწავლის დონე უტოლდება უნივერსიტეტისას. სწავლა საკმაოდ რთულია და კმაყოფილი ვარ, რადგან უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას ვიძენ. ასევე ავირჩიე კლასი "გაზეთი", სადაც არტიკლებს ვწერთ სკოლის გაზეთვისთვის.

თავიდან მეშინოდა, მეგონა რომ ახალ, უცხო გარემოსთან შეგუება გამიჭირდებოდა, იმდენად არაჩვეულებრივი მასპინძელი ოჯახი მყავს, რომ გაუცხოების მომენტი არ მქონია, ჩემი მასპინძლები ყოველანაირად ცდილობენ მხარში დამიდგნენ, შემიქმნან კომფორტული გარემო, მყავს 2 ჰოსთ და. ერთი ჩემი ტოლია, მეორე უმცროსი. მე და ლუსი რამდენიმე კლასში ერთად ვზივართ, რაც უფრო მარტივს ხდის ჩემს შეგუების პროცესს. ჩემი ჰოსთ მამა და დედა ადვოკატები არიან, ამიტომ ხშირად დავდივარ სასამართლოში. რამდენიმეჯერ დავესწარი სხვადასხვა სახის პროცესს. მომეცა საშუალება გავსაუბრებოდი მოსამართლეს.

მინდა მადლობა გადავუხადო FLEX Pპროგრამას ამ შესაძლებლობის მოცემისთვის! მოხარული ვარ, რომ ვარ საქართველოს წარმომადგენელი აშშ-ში. ნამდვილად მინდა, რომ ყველამ გამოსცადოს ეს გრძნობა!

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მასპინძელ ოჯახს Audrey Benison Hemesath იმისთვის, რომ მყვანან. მე ისინი უკვე მიყვარს. ვფიქრობ, რომ საუკეთესო გაცვლითი წელი იქნება!

ჩვენი სტუმრები არიან წარმატებული სენაკელი ახალგაზრდები მარიამ მალანია და ლევან ქავთარაძე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ განათლებას.

მარიამი საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია.

,,ყოველთვის ვგეგმავდი საზღვარგარეთ სწავლას, ვსწავლობდი სენაკის კერძო სკოლა "მარიოტაში", შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელწმიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა.

საფრანგეთში სწავლის გაგრძელება კი გადამაწყვეტინა ჩემმა საბაკალავრო პროგრამამ, რომელსაც ჰქონდა კოლაბორაცია ფრანგულ უმაღლეს სასწავლებელთან, ამიტომაც ვსწავლობდით ფრანგულ ენას. შესაბამისად ძალიან დავინტერესდი ფრანგული ენით და ქვეყნით, ასევე მონპელიეს უნივერსიტეტით, რომელიც ევროპის 10 საუკეთესო უნივერსიტეტებშია შესული და ამანაც გარკვეულწილად დიდი როლი ითამაშა, რადგან მინდოდა საუკეთესო უნივერსიტეტში მესწავლა. კარგად დავეუფლე ფრანგულ ენას, ვიცოდი რომ ეს გამიმარტივებდა საფრანგეთში რეალიზებას.

დაფინანსებას რაც შეეხება: საქართველოში არის "განათლების საერთაშორისო ცენტრი", რომელიც სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით აფინანსებს ქართველ სტუდენტებს, ჩემი კონკრეტული პროგრამა რაშიც გავიმარჯვე იყო "სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში", რომელიც ხორციელდებიდა საფრანგეთის საელჩოს დახმარებით.

კონკურსი 3 ეტაპს მოიცავდა, ბოლო ეტაპი იყო გასაუბრება, მე ვფიქრობ სწორედ გასაუბრებამ ითამაშა დიდი როლი ჩემს არჩევაში, თითქმს 1 კვირა ვემზადებოდი ამ დღისთვის და კარგად მომზადებული წარვსდექი მათ წინაშე და როგორც ვხედავთ, ნამდვილად გამართლდა ჩემი შრომა და მოლოდინი.

აქაური სწავლის დონე საკმაოდ მაღალია, შესაბამისად სწავლაც რთულია, თუმცა დაძლევადი. დროის სწორად განაწილება მეხმარება, რომ ყველაფერი კარგად დავაორგანიზო. ყოველდღე თითქმის 5-6 საათი მიწევს უნივერსიტეტში ყოფნა. ლექციების შემდგომ გვაქვს პრაქტიკული სამუშაოები სხვადასვა ლაბორატორიაში, სადაც დიდ დროს ვატარებთ და თან ძალიან საინტერესოა. ჩემს ჯგუფში საკმაოდ ძლიერი სტუდენტები არიან, ამიტომ მიწევს ორმაგი შრომა, რომ მათ არ ჩამოვრჩე და უფრო მეტიც, მათზე უკეთესი ვიყო.

შეგუების მომენტს რაც შეეხება, თავიდან ცოტათი გამიჭირდა, თუმცა უკვე 2 თვეა აქ ვარ და ვფიქრობ, კარგად შევეთვისე ამ გარემოს.

ჩემი ეს პროგრამა "ეპიდემიოლოგია, ჯანმრთელობის მონაცემთა მეცნიერება და ბიოსტატისტიკა" 2 წლიანია. ასე რომ შემდეგი 2 წელი ასეთ საინტერესო გარემოში მომიწევს ყოფნა, რაც ძალიან მახარებს.

ჩემი მიზანია საქართველოში დაბრუნება და აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს სამშობლოს მოვახმარო.

20 წლის ლევან ქავთარაძე აშშ-ს ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში სწავლობს. დაამთავრა სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტა". სკოლის დამთავრების შემდეგ, წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და 50 პროცენტიანი დაფინანსებით სწავლა კავკასიის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე განაგრძო. სწავლის პარალელურად, ლევანი, უკვე მესამე წელია Google-ში მუშაობს. მას ასევე მოპოვებული აქვს ინგლისური ენის ხარისხის – Alts და კემბრიჯის საერთაშორისო სერთიფიკატები.

ბავშვობიდან გონიერმა და მიზანდასახულმა ყმაწვილმა, ოცნება რეალობად გადააქცია, ის უკვე ნიუჯერსის შტატშია და მისთვის საინტერესო და ნაყოფიერი სტუდენტური ცხოვრებაც დაიწყო.

,,ბავშვობიდანვე ოცნებად მქონდა შტატებში წასვლა და იქ განათლების მიღება -ამბობს ლევანი, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა კავკასიის უნივერსიტეტში გავაგრძელე, მალევე დავიწყე აპლიკაციების მოძიება და სასურველი უნივერსიტეტის არჩევა, ჩავაბარე ILTS-ის გამოცდა და დაფინანსებით მოვხვდი DREW University-ში ბიზნესის ფაკულტეტზე. რაც არუნდა გასაკვირი იყოს ამერიკაში ცხოვრება არ გამოჭირდა. სწრაფად შევეგუე აქაურ კლიმატს, ცხოვრების ბევრად უფრო სწრაფ და რთულ რითმს, ძალიან მომწონს უნივერსიტეტი, აქ კომფორტული გარემოა, სწავლების საკმაოდ საინტერესო მეთოდებით. არის უამრავი სპორტული და გასართობი ჯგუფები. კულტურული ღონისძიებები.

მეგობრებშიც გამიმართლა. ჯგუფი ძალიან შეკრული და მეგობრულია. ხშირად ვმართავთ საღამოებს. მათ იციან რომ საქართველოდან ვარ, ხშირად ვუყვები ჩვენს კულტურაზე, ადათ - წესებზე, ტრადიციებზე. პრეზენტაციაზე საჯაროდ აღვნიშნე რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

ჩემი უახლოესი გეგმაა სწავლა გავაგრძელო ამერიკაში და ჩემი დაგროვილი ცოდნით და გამოცდილებით საქართველოს დავუბრუნდე.

რა თქმა უნდა ჩემი ცოდნა ჩემს საყვარელ სამშობლოს უნდა მოვახმარო, რათა ოდნავ მაინც შევცვალო იქ არსებული მდგომარეობა.

ვულოცავთ ნინის, მარიამს, ლევანს წარმატებებს და ბედნიერ და ნაყოფიერ სტუდენტურ წლებს ვუსურვებთ.

მაია გერგაია

მილოცვა

ღირსნი ბედნიერების

თაკო მიმინოშვილმა და გიგა პაჭკორიამ ქორწინებით კიდევ ერთი ქართული, გამორჩეული ოჯახი შექმნეს. იყოს ახალშეუღლებულთა ფუძე მყარი და ძლიერი. სიყვარული კი ჩაუმქრალ ლამპარად ენთოს მათ გულებში. ისინი ღირსნი არიან ბედნიერების, ჩვენი საყვარელი თაკო ყოველთვის გამორჩეული იყო პროფესიონალიზმით, სულით, გულით, აღნაგობით. პაციენტებს ისეთი სითბოთი და მზრუნველობით ექცეოდა, რომ ავადმყოფებს მისი სჯეროდათ და ეიმედებოდათ. ნათქვამი ,,ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო"- სწორად თაკოზეა ზედგამოჭრილი.

სულით და გულით ვულოცავ თაკოსა და გიგას ცხოვრების გზაზე ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას. სიკეთე და ღვთის წყალობა იყოს მათი მეგზური.

ლიანა ადამია

ბადრი ხურცილავა, იგივე ბადიშ ხურსილი დაიბადა ცხაკაიაში 1960 წლის 29 აპრილს. მეშვიდე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ჯერ სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, შემდეგ ც. დადიანის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში, ბოლოს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობად. ჰყავს მეუღლე ეკა ორაგველიძე -მხატვარი, რომელიც მუშაობს სამხატვრო აკადემიაში.

ბადრი ხურცილავა ავტორია ლექსთა კრებულის, ამჯამად მუშაობს ახალ გამოცემაზე.

გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.

ოდაბადე

ქარმა გამახსენა ოდაბადე,
ეზოში მოქანავე მსხლის ხე,
თვალებს მოერია ცრემლი,
ისევ მოგონებებს ვიწყებ...
მეჭედება გახსენების ჭიგო,
უჟმური ხასიათის ღელე.
მივყვები ნაბიჯებს და ვხედავ,
როგორ უაზროდ დრო ვთელე...
ქუჩის ბოლოშია მთები,
ქუჩის თავში ფიქრის მჭიდი.
ზამთარს გავიხსენებ როცა
თოვლს, რომ ხის ნიჩაბით ვჭრიდი...
ახლა ძვირფასია დრო და
ახლა ძვირფასია კუბო,
მამა რომ მიჰქონდა ცისკენ
და მზე აცილებდა უხმოდ...
დარდი მომეძალა უცებ,
თითქოს გავეცალე სხეულს.
ალბათ შემოდგომაც წავა
ისევ უჩემობით წლეულს...
ცაში ფრინველების გუნდი
თბილი ქვეყნებისკენ სწრაფვა
ჩემი თბილი კერა, სახლი,
ისევ მონატრებით მკლავს და
,,ფეჩთან" დათბილული ვზივარ,
ვუსმენ ტკაცუნობას შეშის.
ისე მენატრება სახლი,
რომ ეს. მონატრება შემშლის...
ქუჩა, ეს ფიცარი გულის,
მტკივა გათელილის ხილვით.
თითქოს მიმაყენეს კედელს,
ტყვიებს დამახლიან მიჯრით....
მზერა გავაყოლე ფიქრებს,
როგორც გადარჩენილ მერცხლებს.
ჩემი ერთადერთი გული
შენი განისლებით ვერ ძლებს....
ო! რა ძვირფასია წუთი,
ო! რა ძვირფასია სივრცე,
მეკი ყოველღამე სიზმრად
სენაკს ტკივილებზე ვიფენ...
ხვალ კი რა იქნება ნეტავ,
თუკი გაჩერდება წუთი,
ჩემი ოდაბადეს კართან
ჩემში ოდაბადეს გული..
მაშინ გავფითრდები ალბათ,
ქარიც ჩადგება და ღმერთი
ნეტავ მაპატიებს ასე,
უღვთო სიყვარულს რომ გწერდი...
ქარმა გამახსენა ოდაბადე,
ეზოში მოქანავე მსხლის ხე,
თვალებს მოერია ცრემლი,
ისევ მოგონებებს ვიწყებ...

***

მზე გაიშალა მზესუმზირის ყვავილის დარად,
ნიავმა თავი შეაფარა ოდას ჩეროში,
ნაბადმოცმული კამეჩები ცოხნიან დილას,
,,კუჩხ ბედნიერი"დღე იწყება სამეგრელოში.
სიმინდის ყანას აშრიალებს ანცი ნიავი
და ტაროებმა აიპრიხეს წვერ-ულვაშები.
ანწლის ღეროზე შემომჯდარან ხვითოებივით
სტვენით გალობენ ოდოიას კოლხი შაშვები...
სევდიან ველებს გაუღიათ თვალები ფართოდ,
მზე ათინათით ინაყრება რძიან ბალახზე,
და ფეხშიშველა ჩქიჩქუ ბავშვი ანკესით ხელში
შუკას მიჰყვება სათევზაოდ, მიდის კალმახზე...
ოჩოკოჩივით ნალიები დგანან ფეხებზე,
პირდაფჩენილნი შემოდგომას ელოდებიან,
ჭყინტუ ტაროებს კაკლები აქვთ გამსუყებული,
მწვანე კაბაში საქორწილოდ ემზადებიან...
ორღობეს ზლაზვნით მიუყვება საქონლის ჯოგი,
აყეფებულან ეზოებში ავად ძაღლები,
ოდა სახლში კი შუაცეცხლზე ფშვინავს ელარჯი,
დევს ნაკვერჩხალზე ცხელი კეცი, კეცზე მჭადები...
მოსაღამოვდა, ჩქიჩქუ მოდის კალმახით ხელში,
დანაყრებული მზე აკრიფავს გადაღლილ სხივებს,
სახლის ერდოზე ჩამოჯდება ჯიჯი ჩიბუხით
და სევდიანი მიეცემა საწუთროს ფიქრებს...
მზე გაიშალა მზესუმზირის ყვავილის დარად,
ნიავმა თავი შეაფარა ოდას ჩეროში,
ნაბადმოცმული კამეჩები ცოხნიან დილას,
,,კუჩხ ბედნიერი"დღე იწყება სამეგრელოში

**

თოვლი მომენატრა, ლამაზი ფაფუკი,
შენი თითებივით სველი.
ხეები მომენატრა თეთრად დათოვლილი.
როგორც მამაჩემის თმები.
ახლა ყველაფერი მენატრება,
კვამლი საბუხრედან მკრთალი.
ხარებს რომ მილალავ შეშის მოასატანად...
იქიდან კი ბრუნდები მთვრალი..
კარებს რომ გამიღებ,
თავზე დანათოვარ ფიფქებს გადაგაცლი ხელით
მერე გუნდას შევკრავ შენი კისკისიდან.
მერე შემესხმება ფრთები.
ტაბლას გადმოიღებ და სუფრას გამიშლი,
ღვინოს ჩამომისხამ წითელს,
მეტყვი დავლიოთო ჩვენი სიყვარულის,
დაცლი პაპაჩემის ,,ხირკეს,,
ცეცხლი იგიზგიზებს თან, ალმურს წაგვიკიდებს,
გულისპირს ჩაიხსნი ოდნავ, მართლა აღარ მინდა
,,ცოდვა,, ჩავიდინო, მაგრამ ვიცი რომ ,,ვცოდავ,,
ხელში აგიყვან და ღრუბლებს გამოვიხმობ,
ზედ რომ დაგაწვონო ფრთხილად.
ისე ვნებიანად უნდა მოგეფერო,
სხვისი გაგახსენდეს ცივად.
მერე აკვანივით ღრუბლებს დაგირწევდი,
სიყვარულს გიმღერებდი ,,ნანად"
ცეცხლი ჩაქრებოდა ბუხრის სამჭედლოში,
ღამეც მოვიდოდა თავად.
გარეთ იყეფებდა ძაღლი სიხარულით,
თოვლიც ჩამოთოვდა მრავლად.
ღამის სიჩუმეში შენი მშვიდი სუნთქვა
სახეზე მომგვრიდა ღიმილს.
ასე უდარდელად ჩემს მკლავზე რომ გძინავს,
ამისი დჯერება მიჭირს....
ახლა? ახლა კი ზაფხულის სიცხეში ვუზივარ მაგიდას
და ვჯღაბნი.
ოცნებებით იქნებ ჩემი გავიტანო და
ზაფხულზე ვიყარო ჯავრი...

***

შენ მეკითხები რაზე ვოცნებობ,
რამ ჩაგისახლა თვალში ღრუბლები?
და ალბათ ფიქრობ, ამ წუთისოფელს
ოცნებით როგორ გადავურჩები?!
დიდი ხანია სულის ნაწილებს
ვკინძავ და ღმერთის ხსნას ველოდები,
რომ შემოდგომის გაფიქრებისას
არ დამეყაროს დარდის ლოდები...
შენ მეკითხები რატომ დადიხარ
ხმელი წიფლების მოწყენილი ტყეში
რატომ მიჭირავს ფერმკრთალი მთვარე
ღამით ბილიკზე მიმავალს ხელში?
მახსოვს, ნეკერჩხლის ძირში დავმარხე
ყველა სევდა და ყველა ტკივილი,
ახლა მივდივარ დაისისაკენ
და ყურში მესმის მწუხრის წივილი...
შენ მეკითხები რას ეძებ,რისთვის
ან ქედზე რატომ არ იდგამ უღელს?
მე გარდაცვლილი წარსული დამაქვს
და ტერენტივით მივხვეტავ ქუჩებს...
ველარ ავიტან გათვლილ ცხოვრებას,
უსიყვარულოდ არავის ვუმღერ,
თავისუფლება სისხლში მაქვს პოეტს
და არ დავიდგამ არავის უღელს...
გახსოვს, შენ მკითხე მოვა სიკვდილი,
აქ რა დაგრჩება, ან რას წაიღებ?
შიშველი მოველ, შიშველი წავალ,
სულს კი ლექსებში გავანაწილებ..
და როცა ცაში აფრინდა მტრედი,
ბაგეს წამოცდა ბოლო სიტყვები,
მე შემოგხედე კითხვის თვალებით....
რატომ არაფერს არ მეკითხები?
...წავალ და ცივი გამყვება ქარი,
დასველდებიან ხეზე ყვავები.
შენ უპასუხო დაგრჩება კითხვა
და ცრემლიანი ბინდის თვალები...
შენ მეკითხები რაზე ვოცნებობ,
რამ ჩაგისახლა თვალში ღრუბლები?
და ალბათ ფიქრობ ამ წუთისოფელს
ოცნებით როგორ გადავურჩები...
კრიალოსნით დავდივარ და
სათითაოდ ვმარცვლავ ტკივილს,
მერე, იქვე ლაფაროში,
ვიწყებ შეშლილივით ყვირილს

***

ბებერ მხრებზე მიზის მთვარე,
ველარ გავმართულვარ წელში,
სიმინდს ვფშვნი და მარცვალ მარცვალ
ისიც მეფანტება ხელში.

ვახვევ თუთუნს ფიქრის წენგოს,
და სველ აბედს კვესზე გავკრავ,
ხვალ უდროო დროს ავდგები
და მყივანა მამალს დავკლავ.

სიო წაჰკრავს ფრთას სიმინდებს
(ეს შრიალი სევდას მომგვრის),
ჩამობერტყავს ფოთლებს ხიდან,
წავა, გადაივლის ბოგირს.

გაღეღილი მკერდით მოხველ,
ჩითის კაბას ცვეთდა ბარდი,
მოდიოდი როგორც ფთილა,
მერე უცებ ჩამოზვავდი...

ისევ ვზივარ ოდის ცხვირწინ,
ვწყევლი ბედს და გამჩენს ვლოცავ.
შენ ნისლებში დაიკარგე,
მეკი ვმარცვლავ კრიალოსანს.

ბებერ მხრებზე მიზის მთვარე,
ველარ გავმართულვარ წელში

***

დამალულია ბავშვობა, თვალხუჭობანას თამაშობს. მოგონებები წარსულის მე სიბერეში გამათბობს....სახლის კუთხეში დამდგარა იქიდან უცქერს სამყაროს ოღონდ, მიიჭრას პირველი, სხვა არაფერზე არ დარდობს....ცხოვრება მიდის, გრძელდება. დრო ბავშვობასთან კამათობს და კარს მომდგარი სიბერე თვალხუჭობანას თამაშობს...

***

შუაღამე მივუყვები ქუჩას,
ჩემს ქალაქში რა ლამაზად თოვს,
ვიღაც მგზავრი შემაჩერებს უცებ
და ბოდიშით მეკითხება დროს.

შუაღამე მივუყვები ქუჩას,
და ძაღლები ჰყეფენ სადღაც შორს.
ვიღაც მგზავრმა შემაჩერა ისევ
და ბოდიშით სიგარეტსა მთხოვს...

შუაღამე მივუყვები ქუჩას,
სიყვარულის მეტს არაფერს გთხოვ.
გაიღვიძეთ, ყველამ ნახეთ, გამოდით,
ჩემს სენაკში რა ლამაზად თოვს....

შუაღამე მივუყვები ქუჩას...

კითხულობ, ტკბები, სულში იები ჩნდებიან, ხანაც დარდები მოჯარდებიან, ღრუბლის ფთილაზე ნანაობ, უფლის შვილიც ხარ, შემოქმედებით მთვრალი, ყინმორეული მელექსეც, ხან ოდაბადეს სტუმრობ, შენს საყვარელ ცა და მიწას ეტრფი, ხან მხატვარი ხარ სევდის, ფიქრის, საკუთარ გრძნობის, ფუნჯით კი არა, კალმით, ხანაც ფიფქებს გასდევნებიხარ, მშობლიურ ქალაქს რომ ეფინება, არც ლაზი გრჩება უყურადღებოდ, ,,ერთი მოდგმის ხალხი", ბავშვობას სტუმრობ-თვალხუჭობანას თამაშით, ხანაც სამკალში დგეხარ და სიბრძნის კალოსაც ლეწავ...

ნინო სართანია

მრავალი თაობის აღმზრდელი

იზაბელა ქობალავა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ღრმა მწუხარება გამოთქვა ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსის, წარმოშობით სენაკელი, იზაბელა ქობალავას გარდაცვალების გამო, რაც უდაოდ დიდი დანაკლისია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

იზაბელა ქობალავამ ბავშვობა და სკოლაში სწავლის პერიოდი ჩვენს მშობლიურ სენაკში გაატარა, დღევანდელი ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში მიიღო განათლება. იყო გამორჩეული და წარმატებული მოსწავლე.... ეს მცირე მონაცემები სხვადასხვა დროს მომაწოდა, სენაკელებისათვის კარგად ცნობილმა და საოცარმა ქალბატონმა, ექიმ ლაბორანტმა ლილი უჩანეიშვილმა, რომელიც ჩვენი საერთო ნათესავი გახლდათ. ხშირად ვსაუბრობდით, ვამაყობდით. სამწუხაროდ ამას იქით ურთიერთობა არ გაღრმავებულა. იყო შეხვედრები, სატელეფონო საუბრებიც. მამა-დომენტი ქობალავა დაიბადა 28 ნოემბერს, იზაბელა-8 ნოემბერს. 2022 წლის გაზაფხული უკანასკნელი აღმოჩნდა, მარტში აღესრულა... 6 მარტს გარდაიცვალა მამაც. მამის ხსოვნას მივუძღვენი მოკრძალებული ნაშრომი - ,,ჩვენი მშობლების სენაკი".

იზაბელა არ გამიცილებია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი-ვერ გავაცილე. ვამაყობ და უდიდეს პატივს ვცემ ჩემი დის იზაბელა ქობალავას ხსოვნას. ვინ იცის როგორ უსაზღვრო ტკივილს ჩუმად ატარებდა გულში ეს სახელოვანი, საამაყო კოლხი ქალბატონი. მინდა სენაკელებს მისი პიროვნება, მიღწევები გავაცნო, რაც უდავოდ გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას გამორჩეულ თანაქალაქელზე.

თეორიული ენათმეცნიერების, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა-ფონოლოგიის, ქართველური ენების მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- ემერიტუსი იზაბელა ქობალავა დაიბადა 1932 წლის 8 ნოემბერს თბილისში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის, კავკასიური ენების განყოფილებაზე. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე ,,აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში", 1986 წელს სადოქტორო დისერტაცია ,,ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში". 1958-1996 წლებში მუშაობდა მკვლევრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენციკლოპედიის განყოფილებებში. 1989 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი. 2006 წელს კი აირჩიეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. ხელმძღვანელობდა ქართველურ ენათა კვლევით ჯგუფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში; მისი ხელმძღვანელობით წარმატებულად განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო პროექტი.

განსაკუთრებულია მეცნიერის წვლილი ქართველური ენების, განსაკუთრებით კი მეგრული ენის, ფონეტიკა – ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სემანტიკის კვლევაში; მისი ავტორობითა და თანაავტორობით შექმნილი მონოგრაფიები თუ ცალკეული პუბლიკაციები მაღალი სამეცნიერო ღირებულებისაა და დარგისთვის ფუნდამენტური ხასიათის ნაშრომებს წარმოადგენს; ქართველური ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია იზაბელა ქობალავას ავტორობით გამოცემული ბოლოდროინდელი მონოგრაფიული ნაშრომი „სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია (მეგრული ენის მონაცემთა ანალიზი)" (2020).

სხვადასხვა დროს გამოცემული აქვს ნაშრომები: აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში; კონსონანტური ჯგუფების დისტრიბუციული ანალიზისათვის ქართულში; მასალები გლოსემანტიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები; მეგრული სიტყვაწარმოებიდან; ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობათა წარმოებისათვის მეგრულში. სიტყვის ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში (CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურა); ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში; ქართული ენის ხმოვანთა ფორმატული დიაპაზონები (ექსპერიმენტული გამოკვლევა); ტიპის ძირთა მორფოლოგიური სტრუქტურისათვის მეგრულში; CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. II-კრ-ში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II; ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის მეგრულში; მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის. – "ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერება", ტ. IV; ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში; კავშირებითი კილო მეგრულში, – "ენათმეცნიერების საკითხები", 4 და სხვა

იზაბელა ქობალავა იყო მრავალი თაობის აღმზრდელი და გზის გამკვალავი. იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დრომდე უძღვებოდა სალექციო კურსებს სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. 5 წლის წინ ილიას უნივერსიტეტმა აღნიშნა ცნობილი ქართველოლოგების, ქართული და ქართველური ენისა და მკვლევარების, და, ზოგადად ქართული კულტურის ელჩების მთელ მსოფლიოში ვინფრიდ ბოედერის, ლუიჯი მაგაროტოს, დონალდ რეიფელდის, იზაბელა ქობალავას, ელის ჰარისის საიუბილეო თარიღები.

დასანანია, რომ არ იყო ჩვენს შორის ის ურთიერთობა, რაც ორივეს გაგვაძლიერებდა, ყოველთვის ვღელავდი, როცა შეხვედრას დავგეგმავდი-ინიციატივა ჩემგან მოდიოდა, ეს ჩვენი ბრალი არ იყო.

ქედს ვიხრი იზაბელას წინაშე, ვამაყობ და მაკლია.

ლუირა (ლია) ქობალავა

სპორტი

მაგიდის ჩოგბურთი

6 ნოემბერს, ქ. თბილისში ჩატარდა ,,ტოპ-სპინის" რესპუბლიკური ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

ტურნირში მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, წყალტუბოს, ლაგოდეხის და სენაკის სპორტსმენები.

წარმატებით იასპარეზეს სენაკელმა სპორტსმენებმა: გუნდურ შეჯიბრში, სენაკის ნაკრების წევრებმა, კობა ჩხიკვაძემ და დათო გეგენავამ დაიკავეს მეორე ადგილი.

ახალგაზრდებში: მეორე ადგილი დაიკავა დათო გეგენავამ. (სენაკი.)

40+ასაკში კი, მესამე ადგილზე მწვრთნელ-მასწავლებელი, კობა ჩხიკვაძე გავიდა.

ვულოცავთ სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

მ. შონია

ბაღიდან გაყოლილი სიყვარული

ჩემი აზრით ყველაზე სათუთი, მგრძნობიარე, შემეცნებითი ღირებულებებით, მრავალი აქტივობებით დატვირთული საგანმანათლებლო-სააღმზრდელო სივრცის კერაა საბავშვო ბაღები. ამიტომ აქ დასაქმებული პერსონალი ბავშვებივით სათუთი სულისა და გულის, პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი ადამიანები, თავის თავში სიკეთის მატარებელნი... უნდა იყვნენ. სწორედ ასეთი გარემოა კოტიანეთის საბავშვო ბაღში, სადაც სითბოთი და სიყვარულით გაბრწყინებული, ღიმილიანი სამყარო დაგვხვდა. ბაღის გამგეა ქალბატონი ჟანა კვირკველია, რომელიც მოზარდთა გულთა მხილავია, უსიტყვოდ ესმის თითოეული მათგანის, „ბავშვები სიხარულისთვის არიან დაბადებულნი, ისინი ჩვენი მომავალია, ჩვენზეა დამოკიდებული როგორ აღვზრდით, რა უნარებს გამოვუმუშავებთ, რომ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბდნენო". ძალიან წუხს იმაზე სეზონური ვირუსული ინფექციის გამო ბავშვები რომ ავადდებიან. ჯგუფში 15 ბავშვი ჰყოლიათ, რომელთა სრულფასოვან აღზრდაზე ზრუნავენ, ძირითადი მასწავლებელი ლეილა ხუხია, აღმზრდელი ირმა სანიკიძე, ციალა ხორავა, მუსიკის მასწავლებელი ვერიკო ცაგურია, ჯანმრთელობის კუთხით მონიკა ხაზალიაა დასაქმებული. რაც შეეხება კვების საკითხს, აქ მზარეული მადონა არახამია ყოფილა შეუცვლელი.

გვაინტერესებს სააღმზრდელო აქტივობები როგორია? „მეთოდისტის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით ვადგენთ გეგმას, რომლის საფუძველზეც ვგეგმავთ სხვადასხვა აქტივობებს, ვარჩევთ თემებს, ქვეთემებს და შემდეგ ერთად განვავრცობთ" – გვიყვება აღმზრდელი ირმა სანიკიძე და გვიჩვენებს საგამოფენო თოკზე ბავშვების მიერ მოთავსებულ საკუთარ აპლიკაციებს, ნახატებს, რომლებშიც მათი თვალით დანახული შემოდგომაა აღბეჭდილი.

ბაღის ინტერიერი, სააღმზრდელო ოთახი გემოვნებითაა მორთული და თვალსაჩინოებებით დატვირთული. ბაღს გამორჩეული, ვრცელი ეზო აქვს მრავალწლოვანი ხეებით, ნაძვნარით, რომელთანაგაც ზოგს ჭაღარა შეჰპარვია, ზოგს სიყვითლე დაჰკრავს, ზოგს კიდევ ფოთლები ხალიჩასავით ძირს გაუფენ-მიმოუფანტავს. ამ მყუდრო რომანტიკულ ეზოში ბავშვები უცილოდ უსაფრთხოდ, დაცულად გრძნობენ თავს.

,,ეზოში ხშირად ღონისძიებასაც ვატარებთ. შემოდგომის ზეიმიც დავგეგმეთ, მაგრამ ამინდი გაფუჭდა და შიდა სივრცეში გადავინაცვლეთ" -გვითხრა ქალბატონმა ჟანამ.

გავა წლები, დაიზრდებიან დღევანდელი ცეროდენები, ვინ იცის რა სიმაღლეებს დაიპყრობენ ისინი. მაგრამ მათ ყოველთვის ემახსოვრებათ ბაღიდან გაყოლილი სიყვარული.

ნინო სართანია

,,ჩვენ ვკითხულობთ გალაკტიონს”

11 ოქტომბერს სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ჩვენ ვკითხულობთ გალაკტიონს”.

პოეზიის პრეზენტაციაზე მონაწილეობდნენ ძველი სენაკის არნოლდ ჩიქობავას სახელობის საჯარო სკოლის IX და XI კლასების მოსწავლეები, პედაგოგი ინგა ზარანდია.

ღონისძიების წარმატებულად ჩატარება ბავშვებმა განაპირობეს, ესენია: IX კლასელები: საღლომე კართხია, მარიამ პირტახია, გიორგი ჩილაჩავა, გიორგი ქავთარაძე, შორენა ბაღათურია, თამარ დავითაია, მარიამ ჩიქობავა. XI კლასელები: ლიზი ბერიძე, თეკლა ვაჩაძე, ლიზა ჯინორია, მონიკა ესებუა, მირანდა ჯანჯღავა, ნინო რურუა. პოეზიის ღონისძიებას მრავალი გულშემატკივარი დაესწრო.

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა დაბა ჭყვიშში. პოეტმა გაიარა შემოქმედების რთული და გრძელი გზა. მისი შემოქმედება არავითარ შელამაზებას და კორექტირებას არ საჭიროებს.

ქართულ პოეზიაში მან პირველმა დაიწყო ახალი ფერებისა და ნახევარტონების ძიება, რითაც ქართული ლექსი გამოიყვანა ჩიხიდან.

პოეტი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად, მას ჩვევად ჰქონდა ქუჩებში ხეტიალი, მზეში, წვიმაში, ქარში. უყვარდა გამვლელების გაჩერება, მათთან უცნაური საუბრის გაბმა.

გალაკტიონის ცნობილი ლექსია ,,გამარჯობა აფხაზეთო შენი”. მასზე არაჩვეულებრივი სიმღერაც დაიწერა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, ლექსში ნახსენები ,,მშვენიერი ქალი” ვინაა, ეს გახლავთ ქეთევან ჯაფარიძე.ერთ-ერთ წვეულებაზე ქეთევანს ბევრი ლექსი წაუკითხავს, შესაბამისად გალაკტიონიც ბევრჯერ მთხვევია ხელზე, ამის გამო ქეთევანის მამას უეჭვიანია და უხეშადაც მოქცეულა. კიდევ ერთი ცნობილი ლექსი პოეტმა მერი შერვაშიძეს უძღვნა. მათ შორის მხოლოდ პლატონური სიყვარული იყო, პოეტს თავდავიწყებით უყვარდა მერი, მაგრამ ვერ უბედავდა გულის ნადებს, მერი თავადური წარმოშობისა იყო, გალაკტიონი კი არა.

ერთ-ერთ ლექსში პოეტმა თავის თავს ,,უსახლო სული“ უწოდა და მართლაც ის თითქოს მარტოობისათვის იყო განწირული, მაგრამ მას წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება-იგი სიცოცხლეშივე შეიყვარა და შეითვისა ერმა. მე ამ წერილს ასე დავამთავრებ: ,,შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი”.

ბიჭიკო თუნთია

პროსგორდი

საქართველოს კურორტები



კროსვორდის ცარიელი უჯრები შეავსეთ საქართველოში არსებული კურორტების სახელით, ისე, რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ საქართველო

შეადგინა მ. გერგაიამ

2022 წლის № 19-20 კოლხეთში გამოქვეყნებული კროსვორდი ,,ფეხბურთელების” პასუხები:

კანკავა; ჩივაძე; დარასელია; არველაძე; კობიაშვილი; გუცაევი; მესხი; ნემსაძე; შენგელია; ყიფიანი; მაჩაიძე

ხსოვნა

ლერი ჯალაღონია

საოცარი ადამიანი და ხელოვანი იყავი.დაუვიწყარი და განუმეორებელი, შენი ოჯახისათვის ერთადერთი და საფიცარი პიროვნება. საზოგადოებისათვის, შენი საყვარელი სენაკელებისათვის ტალანტი, საშემსრულებლო ხელოვნებითა და ოსტატობით გამორჩეული. უკვე 8 წელი გასულა, მაგრამ შენს საყვარელ მაყურებელს არ ავიწყდები. შენი ნათამაშევი როლებით სულს იბრუნებენ, ისინი ყოველთვის სიყვარულით გიგონებენ, ჩვენ, შენი ოჯახის წევრები კი ვფიქრობთ რა შენზე, შენთან გატარებული დღეების სითბოს ჯავშნად ვირგებთ და ასე ვაგრძელებთ ცხოვრებას. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე საზოგადოებამ გულში ჩაგიკრა, სასცენო მოღვაწეობიდან 55 და დაბადებიდან 70 წლის იუბილე აღგინიშნეს. ამაყი იყავი შენი სენაკელობით, შენი განვლილი გზით... ჩვენც გვეამაყები.

წულუკიძეში დაბადებულმა და გაზრდილმა სენაკის №1 საშუალო სკოლა დაამთავრე, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ორი კურსი. წლების მანძილზე იმუშავე სენაკის № 12 სამშენებლო სამმართველოში, №5 სამშენებლო ტრესტში, სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატში საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსად, №2 ტრესტის სამშენებლო პოლიგონში იგივე თანამდებობაზე, 1989-1991 წლებში სარაიონო კულტურის სასახლისა და სახალხო თეატრის დირექტორად, 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სენაკის სახალხო თეატრში მოღვაწეობდი.

შენთვის თეატრი მთელი ცხოვრება იყო. შეიძლება ითქვას, რომ თეატრისთვისა იყავი დაბადებული.

სენაკის თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში შენი ღვაწლი უზომოა. შენს მიერ განსახიერებული როლებით წარუშლელი კვალი დატოვე და ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვე, ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდი თეატრალურ ხელოვნებას, გამორჩეული იყავი ინდივიდუალობით, ადამიანის სულში ჩაღრმავების იშვიათი უნარით.

2001 წელს ღირსების ორდენით დაგაჯილდოვეს, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო თეატრალური საზოგადოების დაფასება და მაყურებლის ის დიდი სიყვარული იყო, რომელსაც ყოველთვის გრძნობდი.

ოჯახი, შვილები და შვილიშვილები ვცდილობთ ღირსეულად ვატაროთ და გავუფრთხილდეთ შენს სახელს.

ნათელი დაადგეს შენს უკვდავ სულს, სანთელი და საკმეველი გინათებდეს იმიერში გზას.

ოჯახი

თამაზ კანკია

დაიბადა 5 ნოემბერს, 8 ნოემბერს ცად ამაღლდა. ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში. იყო ახალგაზრდების ქომაგი და დამკვალიანებელი, უხუცესი ადამიანების პატივმდებელი, ქვეყნისათვის, მშობლიური ქალაქის საჭირბოროტო საკითხების გულთან მიმტანი, გადაწყვეტაში წილის დამდები. ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა. ჰქონდა უნარი თავის გარშემო შემოეკრიბა ყველა თაობის, გაქანების ადამიანები, მის სამუშაო კაბინეტში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, უპირველესად ჭკუის საკითხავად, დახმარების სათხოვნელად, სიტყვის შესაწევნელად ... მოდიოდნენ. მეგობრებიც ხშირად სტუმრობდნენ.

ბოლოს, როცა ავადმყოფობა მოეძალა, რედაქციის სამუშაო ოთახიდან ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა თავ-თავიანთ საქმეზე მოარულ ადამიანებს. გზის ბოლოს კი -,,პოტიკია ცხოვრებაო” – დასცდა.

გთავაზობთ მის ერთ ლექსს.

გალაკტიონი

(მ. ლებანიძის მიბაძვით)

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი, არაფერზე ფიქრობდა.
აღმართ-აღმართ მდინარე
მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი – მოხუცს ბეჭი სტკიოდა?
იქნებ ფეხი სტკიოდა, იქნებ მართლა ციოდა?!
ან იქნება შიოდა?!
ალბათ, შუბლიც სტკიოდა?
მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი...
რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც
დაჰკრავდა:
იწვა, როგორც არასდროს,
მოტირალი არ ჰყავდა,
დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა,
აწ და სამარადისოდ –
ეს სიცოცხლეც დამთავრდა;
ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
ისემც მამა უცხონდეს –
ვინც სთქვა რამეს ფიქრობდა,
უცბად შემოვლებული
შეჩოჩქოლდნენ დროშები,
უცებ საძუალესთან კრთომით შეკრთნენ
მგოსნები
კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.
დიდოსტატმა ,,ჰაიტო” მიუთითა თითით და-
ნეტავ რა დავაშავეთ –პოეტებმაც იკითხა.
“რა ვქნათ?” ახლა ირაკლიმ თქვა და თავი და-
ხარა,
კიდევ ,,ჰაიტს” გვეძახის, გაგვერია ჭაღარა.
სდუმდნენ ,,ვაი მწერლები”
დიდოსტატთან კანკალით,
და ელოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.
იწვა გალაკტიონი, იქნებ მართლა ფიქრობდა?!
იქნებ მერის სახელი ახლაც გულით დაჰქონდა.
ალბათ ,,ლურჯა ცხენებზე”
ოცნებებით დაჰქროდა,
ალბათ როცა გადახტა,
სახლში ღვინო არ ჰქონდა,
ქონებაზე არავინ, არაფერს არ ამბობდა,
ანდა მას გასაყოფი ქონება სად ჰქონდა,
მესაფლავეს სამარე მისთვის უკვე
მზად ჰქონდა,
მისივე ,,მესაფლავე” დღესაც
გულით დაჰქონდა
ისევ წასაკითხავად დრო არაფრის არ ჰქონდა
მისი ცრემლის ღვართქაფი
მშობელ მიწას ალბობდა,
სადღაც ერთი ბულბული
მწუხრის ხმაზე გალობდა.
მესაფლავე მოსთქვამდა
მრავალ მკვდრების მხილველი
აროდეს უტირია და დღეს იყო პირველი,
იყო სასაფლაოზე, როგორც არსად ტალახი,
გალაკტიონს მოსდევადა სოფელი და ქალაქი.
ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდი
ასე უცებ გაკაცდი, ასე სარფად გადიდდი!
რაღაც პათეტიკური მას სიკვდილში
დაჰკრავდა,
იწვა, როგორც არასდროს,
ახლაც არვის არ ჰგავდა.
ვაგლახ, პოეზიისთვის ილეოდა, იწვოდა,
და დღეს ვისაც მარხავდა,
საქართველომ იცოდა.

გაზეთ ,,კოლხეთის” რედაქცია თანაუგრძნობს ირაკლი საჯაიას მეუღლის
ნანა ბირკაია – საჯაიას
გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ”
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499